

რაგვიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის
07.06.2002 წლის N 1486 – II ს დადგენილებით

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 1999

საერთაშორისო კონვენცია გერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ

პრეამბულა

ამ კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები

ითვალისწინებენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებას, სახელმწიფოთა შორის კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის შესახებ,

უკიდურესად შეშფოთებული არიან ყველა ფორმისა და სახის გერორიზმის აქტების ესკალაციით მთელ მსოფლიოში,

იცავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავ იუბილემე მიღებულ დეკლარაციას, რომელიც შედის გენერალური ასამბლეის 1995 წლის 24 ოქტომბრის N50/6 რეზოლუციაში,

აგრეთვე გენერალური ასამბლეის ყველა შესაბამის რეზოლუციას, მათ შორის, 1994 წლის 9 დეკემბრის რეზოლუციას და მის დანართს საერთაშორისო გერორიზმის აღმოსაფხვრელი ღონისძიებების შესახებ დეკლარაციაზე, რომელთაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმა საზეიმოდ დაადასტურეს, რომ ერთმნიშვნელოვნად გმობენ გერორიზმის ყველა აქტს, მეთოდსა და პრაქტიკას, მიაჩნიათ ისინი ბოროტმოქმედებად და სრულად გაუმართლებელ ქმედებად, სადაც უნდა მოხდეს და ვინც უნდა ჩაიდინოს, მათ შორის იმ აქტებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მეგობრულ ურთიერთობას ქვეყნებს და ხალხებს შორის, იმუქრებიან სახელმწიფოთა ერთიანობას და უშიშროებას,

აღნიშნავენ, რომ საერთაშორისო გერორიზმის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაციამ საფუძველი მისცა სახელმწიფოებს, რათა სასწრაფოდ გადახედონ არსებულ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს გერორიზმის ყველა ფორმისა და გამოვლენის თავიდან აცილების და აღმოფხვრის შესახებ, იმ მიზნით, რომ ამ საკითხის ყველა ასპექტის შესაბამისად ყოვლისმომცველი სამართლებრივი სისტემა,

იცავენ გენერალური ასამბლეის 1996 წლის 17 დეკემბრის N 51/210 რეზოლუციის მე-3 პუნქტის (ფ) ქვეპუნქტი, რომელიც ასამბლეამ მოუწოდა ყველა სახელმწიფოს განახორციელოს ღონისძიებანი, კერძოდ სათანადო საშინაო ღონისძიებანი, გერორისტებისა და გერიორისტული ორგანიზაციების დაფინანსებით თავიდან ასაცილებლად და მის საწინააღმდეგოდ. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს პირდაპირი გზით ხდება ეს დაფინანსება, თუ ორგანიზაციების საშუალებით, რომლებმაც პირდაპირი გზით ეს დაფინანსება, თუ ორგანიზაციების საშუალებით, რომლებსაც აქვთ ან აცხადებენ, რომ აქვთ საქველმოქმედო, სოციალური ან კულტურული მიზნები, ან

რომლებიც თავად არიან ჩაბმული არალეგალურ საქმიანობაში. როგორც არის იარაღით არალეგალური ვაჭრობა, ნარკოტიკების გაყიდვა და რეკეტი, სხვა პირთა ექსპლუატაცია გერორისტული საქმიანობის დაფინანსების მიზნით. სადაც საჭიროა უნდა განხორციელდეს მარეგულირებელი ღონისძიებანი გერორისტული მიზნებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების შესაჩერებლად, რამაც არ უნდა შეაფერხოს ლეგალური კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა, ინგენსიური სახელი მიეცეს ინფორმაციის გაცვლას ამგვარი ფულადი სახსრების საერთაშორისო მოძრაობის შესახებ,

იცავენ აგრეთვე გენერალური ასამბლეის 1997 წლის 15 დეკემბრის N 52/165 რეზოლუცია, რომლითაც ასამბლეა, კერძოდ, მოუწოდებს სახელმწიფოებს განიხილონ იმ ღონისძიებათა გაგარების შესაძლებლობა, რომლებიც დაფიქსირებულია მისი 1996 წლის 17 დეკემბრის N 51/210 რეზოლუციის 3(ა)-დან (ფ) პუნქტამდე,

იცავენ, აგრეთვე, გენერალური ასამბლეის 1998 წლის 8 დეკემბრის N 53/108 რეზოლუციას, რომლითაც ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება გენერალური ასამბლეის 1996 წლის 17 დეკემბრის რეზოლუციის საფუძველზე შექმნილ საგანგებო კომიტეტს შეემუშავებინა საერთაშორისო კონვენციის პროექტი, გერორისტების დაფინანსების აღკვეთის შესახებ, რომელიც შეავსებდა ამასთან დაკავშირებულ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს,

ითვალისწინებენ, რომ გერორიზმის დაფინანსება მთელი საერთაშორისო სამოგადოების სერიოზულ შეშფოთებას იწვევს,

აღნიშნავენ, რომ საერთაშორისო გერორიზმის აქტების რაოდენობა და მათი სიძლიერე დამოკიდებულია იმ დაფინანსებაზე, რასაც გერორისტები მოიპოვებენ,

აღნიშნავენ აგრეთვე, რომ არსებული მრავალმხრივი სამართლებრივი აქტები სათანადოდ ვერ არეგულირებენ ამგვარ დაფინანსებას,

დარწმუნებულნი არიან, რომ არსებობს აუცილებლობა განმტკიცდეს სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობა, რათა დაისახოს და განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებანი გერორიზმის დაფინანსების თავიდან ასაცილებლად, ასევე მის აღსაკვეთად ამგვარი აქტების ჩამდენთა სამართალში მიცემისა და დასჯის გზით,

თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1

1. “ფონდები” ნიშნავს ყველა სახის და ნებისმიერი გზით მოპოვებულ, მაგერიალურ და არამაგერიალურ, მოძრავ და უძრავ აქტივებს, და

ნებისმიერი ფორმის იურიდიულ დოკუმენტს, მათ შორის ელექტრონულსა და ციფრულს, რომელიც ამგვარ აქტივებზე საკუთრების უფლებას ან მათში წილობრივი მონაწილეობის მოწმობას, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება საბანკო კრედიტებს, სამგზავრო ჩეკებს, საბანკო ჩეკებს, ფულად გზავნილებს, აქციებს, ფასიან ქაღალდებს, ობლიგაციებს, გრაგებს, აკრედიტივებს.

2. “სახელმწიფო ან სამთავრობო შენობა” ნიშნავს ნებისმიერ მუდმივ ან დროებით შენობას ან საგრანსპორტო საშუალებას, რომელიც გამოიყენება ან

დაკავებულია სახელმწიფო წარმომადგენლების, მთავრობის წევრების, საკანონმდებლო ხელისუფლების ან სასამართლო წევრების, თანამდებობის პირების მიერ, ან

სახელმწიფო ან ხელისუფლების სხვა ორგანოების მოხელეების თუ

სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების თანამდებობის პირების მიერ, თავიანთ ოფიციალურ მოვალეობებთან დაკავშირებით.

3. “შემოსავალი” ნიშნავს ნებისმიერ ფონდს წარმოებულს, ან მოპოვებულს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, დანაშაულის ჩაღების გზით, რომელიც ჩამოყალიბებულია მე-2 მუხლში.

მუხლი 2

1. წინამდებარე კონვენციის თანახმად ნებისმიერი პირი სჩადის დანაშაულს თუ ეს პირი რაიმე გზით, პირდაპირ ან

არაპირდაპირ, უკანონოდ და საკუთარი ნებით, უზრუნველყოფს ან აგროვებს ფონდებს იმ განზრახვით, რომ მათ გამოიყენებენ, ან

იყის, რომ მათ მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიყენებენ, რათა განახორციელონ:

(ა) აქტი, რომელიც დანაშაულს წარმოადგენს დანართში ჩამოთვლილი რომელიმე შეთანხმების თანახმად; ან

(ბ) ნებისმიერი სხვა აქტი, რომლის მიზანს მშვიდობიანი მოქალაქის ან სხვა ნებისმიერი პირის სიკვდილი, ან სხეულის სერიოზული დაზიანება წარმოადგენს,

რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის დროს აქტიურ მონაწილეობას არ იღებს საომარ მოქმედებებში, თუკი ამგვარი აქტი თავისი ხასიათით, ან

კონტექსტით, მიზნად ისახავს მოსახლეობის დაშინების, ან მთავრობის ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულებას, რომ მათ ჩაადენინოს, ან

არ ჩაადენინოს რაიმე ქმედება.

2. (ა) სარაგიფიკაციო სიგელების შენახვის, მიღების, დამტკიცების ან ხელშეკრულებასთან შეერთების დროს სახელმწიფომ, რომელიც არ წარმოადგენს

დანართში ჩამოთვლილი შეთანხმების მონაწილე მხარეს, შეუძლია განაცხადოს, რომ წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მიმართ გამოყენების დროს ეს შეთანხმება

არ უნდა მიიჩნიონ დანართში ჩართულად, რომელიც ნახსენებია პირველი პუნქტის (ა) ქვეპუნქტში, დეკლარაციას

აღარ ექნება ძალა, როგორც კი ეს სახელმწიფო შეუერთდეს შეთანხმებას და აცნობებს ამ ფაქტის შესახებ ნდობით აღჭურვილ პირს;

(ბ) როდესაც შეთანხმების მონაწილე სახელმწიფო წყვეტს დანართში ჩამოთვლილ შეთანხმებაში მონაწილეობას, მას შეუძლია გააკეთოს შესაბამისი განცხადება,

როგორც ეს ამ შეთანხმებასთან მიმართებაში არის გათვალისწინებული წინამდებარე მუხლით.

3. ქმედებისათვის, რომელიც 1-ლი პუნქტის თანახმად დანაშაულს წარმოადგენს აუცილებელი არ არის ფონდები ფაქტობრივად იყოს გამოყენებული

იმ დანაშაულის ჩასადენად, რომელიც ნახსენებია 1-ლ პუნქტსა და (ა) და (ბ) ქვეპუნქტებში.

4. ნებისმიერი პირი სჩადის, აგრეთვე, დანაშაულს, ან ცდილობს ჩაიდინოს დანაშაული, როგორც ეს ჩამოყალიბებულია წინამდებარე მუხლის 1-ლ პუნქტში.

5. ნებისმიერი პირი სჩადის, აგრეთვე, დანაშაულს, თუ ეს პირი:

(ა) არის დანაშაულის თანამონაწილე, როგორც ეს ჩამოყალიბებულია

წინამდებარე მუხლის 1-ლ ან მე-4 პუნქტებში;

(ბ) ახდენს დანაშაულის ორგანიზებას ან ხელმძღვანელობს მას, როგორც ეს ჩამოყალიბებულია წინამდებარე მუხლის 1-ლ ან მე-4 პუნქტებში;

(გ) წვლილი შეაქვს ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში ერთი მიზნით გაერთიანებული ხალხის ჯგუფის საშუალებით,

როგორც ეს ჩამოყალიბებულია წინამდებარე მუხლის 1-ლ ან მე-4 პუნქტებში, ამგვარი წვლილის შეგანის წინასწარ განზრახული ხასიათი უნდა ჰქონდეს და:

(ი) მიზნად ისახავდეს ჯგუფის დანაშაულებრივი საქმიანობის ან დანაშაულებრივი მიზნის ხელშეწყობას, თუკი ამგვარი საქმიანობა ან

მიზანი გულისხმობს დანაშაულის ჩადენას, როგორც ეს ჩამოყალიბებულია წინამდებარე მუხლის 1-ლ პუნქტში; ან

(იი) ეს წვლილი შეაქვს, როცა იცის რომ ჯგუფის განზრახვაა ჩაიდინოს დანაშაული როგორც ეს ჩამოყალიბებულია წინამდებარე მუხლის 1-ლ პუნქტში;

მუხლი 3

ეს კონვენცია არ ეხება შემთხვევას, როცა დანაშაული ერთ სახელმწიფოში ჩადენილი დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი ამ სახელმწიფოს მოქალაქეა და იმყოფება მის ტერიტორიაზე და სხვა არც ერთ სახელმწიფოს არ გააჩნია საფუძველი მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის, ან მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად განახორციელოს იურისდიქცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გამოიყენება მე-12 და მე-18 მუხლების დებულებები.

მუხლი 4

კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს რათა:

(ა) ამ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად აღიაროს კრიმინალურ დანაშაულად ის დანაშაულობანი, რომლებიც ჩამოყალიბებულია მე-2 მუხლში;

(ბ) მიუსადაგოს ამგვარ დანაშაულობებს შესაბამისი სასჯელი, რომლითაც გათვალისწინებული იქნება მათი სერიოზული ხასიათი.

მუხლი 5

1. კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო, ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად განახორციელებს ღონისძიებებს, რათა

თავის ტერიტორიაზე განლაგებულ იურიდიულ პირებს, ან ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ იურიდიულ პირებს დააკისროს პასუხისმგებლობა;

თუკი ამ იურიდიული პირის ხელმძღვანელმა ან მაკონტროლებელმა ორგანომ, ფუნქციის შესრულების დროს ჩაიდინა დანაშაული, რომელიც ჩამოყალიბებულია მე-2 მუხლში ამგვარ პასუხისმგებლას ექნება სისხლის სამართლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული ხასიათი.

2. იურიდიულ პირებზე დაკისრებული პასუხისმგებლობა დანაშაულის ჩამდენ პირებს არ ათავისუფლებს პირადი პასუხისმგებლისაგან.

3. კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ 1-ლი პუნქტის თანახმად პასუხისმგებელი იურიდიული პირები დაექვემდებარონ

სისხლის სამართლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ სანქციებს, რომლებიც იქნება ქმედითი, თანამომიერი და ხელს ააღებინებს მათ დანაშაულის ჩადენაზე. ამაში

შეიძლება შევიდეს ფულადი სანქციები.

მუხლი 6

კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო მიიღებს ზომებს, საჭიროებისამებრ საშინაო კანონმდებლობის დონეზე, რათა უზრუნველყოს, რომ წინამდებარე კონვენციის ფარგლებით გათვალისწინებულ კრიმინალურ აქტებს არც ერთ შემთხვევაში არ მოეძებნოს გამართლება პოლიტიკური, იდეოლოგიური, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვა მგავსი მოსაზრებით.

მუხლი 7

1. კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო საჭიროებისამებრ მიიღებს ზომებს, რათა განახორციელოს თავისი იურისდიქცია მე-2 მუხლში ჩამოყალიბებულ დანაშაულობებზე, როცა:

(ა) დანაშაული ჩადენილია ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე;

(ბ) დანაშაული ჩადენილია საჰაერო ხომალდზე, რომელიც მისი დროშით დაფრინავს ან თვითმფრინავში, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მისი კანონებით იყო რეგისტრირებული;

(გ) დანაშაული ჩადენილია ამ სახელმწიფოს მოქალაქის მიერ.

2. კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო გააგრძელებს თავის იურისდიქციას ამგვარ დანაშაულზე, როდესაც:

(ა) დანაშაული მიმართული იყო ან გამოიწვია დანაშაულის ჩადენა, რომელიც ჩამოყალიბებულია მე-2 მუხლში,

1-ლი მუხლის (ა) ან (ბ) ქვეპუნქტებში და ჩადენილი იყო მისი სახელმწიფო ან სამთავრობო შენობის საზიანოდ სამღვარვარეთ;

მათ შორის ამ ქვეყნის დიპლომატიური და საკონსულო შენობების საზიანოდ;

(გ) დანაშაული მიმართული იყო ან გამოიწვია დანაშაული, რომელიც ჩამოყალიბებულია მე-2 მუხლში, 1-ლი მუხლის (ა) ან (ბ) ქვეპუნქტებში, ჩადენილი იყოს იმის მცდელობით, რომ აიძულოს ეს სახელმწიფო გააკეთოს ან არ გააკეთოს რაიმე;

(დ) დანაშაული ჩადენილია უსამშობლო/მოქალაქეობის არ მქონე პიროვნებების მიერ, რომელიც ცხოვრობს ამ სახელმწიფოში;

(ე) დანაშაული ჩადენილია თვითმფრინავის ბორცვზე, რომელსაც ექსპლუატაციას უწევს ამ სახელმწიფოს მთავრობა.

3. ამ კონვენციის რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მასთან შეერთების შემთხვევაში კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო აცნობებს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს იურისდიქციის შესახებ, რომელიც მე-2 მუხლის თანახმად დააწესა. იმ შემთხვევაში, როცა

რაიმე ცვლილებას შეიგანს კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო დაუყოვნებლივ შეაგყობინებს გენერალურ მდივანს ამის თაობაზე.

4. კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო ანალოგიურ ღონისძიებებს გააგარებს რაც საჭირო იქნება მისი იურისდიქციის გასაგრძელებლად დანაშაულობებზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია მე-2 მუხლში იმ შემთხვევაში, თუკი სავარაუდო დამნაშავე მათს ტერიტორიაზეა და არ მოახდენს ამ პიროვნების ექსტრადიციას სხვა სახელმწიფოში, რომელმაც 1-ლი ან მე-2 მუხლის შესაბამისად განსაზღვრა თავისი იურისდიქცია.

5. თუკი ერთმე მეტი სახელმწიფო აცხადებს პრეგენზიას იურისდიქციის გავრცელებაზე 1-ლი ან მე-2 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ დანაშაულზე, ეს სახელმწიფოები ესწრაფვიან, რომ მოახდინონ თავიანთი მოქმედების კოორდინაცია, კერძოდ იმ ნაწილში რომელიც ეხება სისხლისამართლებრივ დევნას და ერთმანეთისათვის სამართლებრივი ხასიათის დახმარების გაწევის მეთოდებს.

6. საერთაშორისო სამართლის ზოგადი ნორმებისათვის ზიანის მიუყენებლად, ეს კონვენცია არ გამორიცხავს ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი იურისდიქციის გამოყენებას, რომელიც კონვენციის მონაწილე სახელმწიფომ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემოიღო.

მუხლი 8

1. კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო სათანადო ზომებს მიიღებს, საკუთარი კანონმდებლობის პრინციპების შესაბამისად, რათა შესაძლო კონფისკაციის მიზნით გამოამქლავნოს, მიაკვლიოს, გაყინოს ან ყადაღა დაადოს ნებისმიერ ფონდს, რომელიც გამოიყენება ანდა გამოყოფილია. დანაშაული ჩადენის მიზნით, რომელიც ჩამოყალიბებულია მე-2 მუხლში, ისევე როგორც ამგვარი დანაშაულის ჩადენის შედეგად მოპოვებულ ფონდებს.

2. კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო სათანადო ზომებს მიიღებს, საკუთარი კანონმდებლობის პრინციპების შესაბამისად, რათა მოახდინოს კონფისკაცია ნებისმიერი ფონდის, რომელიც გამოიყენება ანდა გამოყოფილია დანაშაულის ჩადენის მიზნით, რომელიც ჩამოყალიბებულია მე-2, მუხლში და ამგვარი დანაშაულის ჩადენის შედეგად მოპოვებულ ფონდებს.

3. კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო განიხილავს საკითხს ხელშეკრულების დადების შესახებ კონვენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოებთან ამ მუხლში ნახსენები კონფისკებული ფონდების გაყოფის შესახებ რეგულარულად ამ შემთხვევიდან შემთხვევამდე.

4. კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო განიხილავს შესაძლებლობას შექმნას ისეთი მექანიზმის, რომლის საშუალებითაც ამ მუხლში ნახსენები კონფისკებული ფონდები გამოყენებული იქნება მე-2 მუხლში და 1-ლი მუხლის (ა) ან (ბ) ქვეპუნქტში ჩამოყალიბებული დანაშაულის მსხვერპლისათვის ან მათი ოჯახის წევრებისათვის ზარალის ანაზღაურების მიზნით.

5. ამ მუხლის დებულებები ხორციელდება მესამე მხარისათვის ზიანის მიუყენებლად, რომელიც სამართლიანად იქცევა.

მუხლი 9

1 როდესაც კონვენციის მონაწილე სახელმწიფო მიიღებს ინფორმაციას, რომ მე-2 მუხლში ჩამოყალიბებული დანაშაულის სავარაუდოდ ჩამდენი პიროვნება მის ტერიტორიაზე შეიძლება იყოს, ეს სახელმწიფო განხორციელების საჭირო ღონისძიებებს, რათა საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად გამოიძიოს ინფორმაციაში მითითებული ფაქტები.

2. როდესაც კონვენციის მონაწილე სახელმწიფო დარწმუნდება, რომ ამას გარემოება

მოითხოვს, სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც დამნაშავე ან სავარაუდო დამნაშავე იმყოფება, განხორციელებს ღონისძიებებს სათანადო საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად, რათა უზრუნველყოს ამ პიროვნების სასამართლოსათვის გადაცემა ან ექსტრადიცია.

3. ნებისმიერი პირს, ვის მიმართაც განხორციელდება მე-2 პარაგრაფში ნახსენები ზომები, უფლება აქვს:

(ა) დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს იმ ქვეყნის უახლოეს წარმომადგენლობას, რომლის მოქალაქეც არის ან რომელიც უფლებამოსილია რამენაირად დაიცვას მისი უფლებები, ან თუკი ეს პირი უსამშობლო ადამიანია, იმ სახელმწიფოს, სადაც იგი ჩვეულებრივ ცხოვრობდა;

(ბ) შეხვდეს თავისი ქვეყნის წარმომადგენელს;

(გ) მიიღოს ინფორმაცია ამ მუხლის (ა) და (ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული მისი უფლებების შესახებ. მე -3 პუნქტში ნახსენები უფლებების რეალიზაცია უნდა მოხდეს იმ სახელმწიფოს კანონებისა და ნორმების შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც დამნაშავე ან სავარაუდო დამნაშავე იმყოფება, იმ პირობით, რომ აღნიშნული კანონები და ნორმები საშუალებას იძლევიან სრულად განხორციელდეს მიზნები, რასაც ემსახურება მე -3 პუნქტით განსაზღვრული უფლებები.

1. მე -3 და მე -4 პუნქტების დებულებები უფლებას უტოვებს კონვენციის მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც პრევენციას აცხადებს იურისდიქციის მიმართ მე -7 მუხლის 1-ლი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის ან მე -2 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის თანახმად, მოიწვიოს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, რომელიც დაუკავშირდება და მოინახულებს სავარაუდო დამნაშავეს.

6. როდესაც კონვენციის მონაწილე სახელმწიფო წინამდებარე მუხლის თანახმად აპატიმრებს ვინმეს, დაუყოვნებლივ უნდა შეაგყობინოს უშუალოდ ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის საშუალებით კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს, რომლებმაც დაადგინეს იურისდიქცია მე -7 მუხლის 1-ლი ან მე -2 პუნქტების მიხედვით და თუ ისინი მიზანშეწონილად ჩათვლიან ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოს ამ პიროვნების პატიმრობაში ყოფნის ფაქტის და იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც ამ პიროვნების დაკავებას დაედო საფუძვლად. სახელმწიფომ, რომელიც აწარმოებს გამოძიებას, როგორც 1-ლ პუნქტშია ჩამოყალიბებული, სასწრაფოდ უნდა შეაგყობინოს მოკვლეული ფაქტების შესახებ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს და მიუთითოს, აპირებს თუ არა საკუთარი იურისდიქციის განხორციელებას.

მუხლი 10

1. კონვენციის მონაწილე სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზე სავარაუდო დამნაშავე იმყოფება, მე -7 მუხლში განხილულ შემთხვევებში, თუკი არ ახდენს ასეთი პირის ექსტრადიციას, ვალდებულია გამონაკლისის გარეშე, იმის მიუხედავად, თუ რა დანაშაულია ჩადენილი და იყო თუ რა ეს დანაშაული მის ტერიტორიაზე ჩადენილი.

დაუყოვნებლივ გადასცემს საქმეს კომპეტენტურ ორგანოებს სასამართლო პროცესის მეშვეობით მართლმსაჯულების აღსრულების მიზნით, რაც ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მოხდეს. აღნიშნული ორგანოები მიიღებენ იგივე გადაწყვეტილებას, როგორსაც ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად მიიღებდნენ მძიმე

დანაშაულის შემთხვევაში

2. ყოველთვის, როცა კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობა უფლებას ანიჭებს მოახდინოს თავისი მოქალაქის ექსტრადიცია ან

სხვაგვარი გადაცემა, იმ პირობით, რომ ამ პირს დააბრუნებენ აღნიშნულ ქვეყანაში სასამართლო პროცესის შედეგად დაკისრებული სასჯელის მოსახდელად, რისთვისაც ექსტრადიცია და დამნაშავის გადაცემა მოხდა. ხსენებული სახელმწიფო და ისიც, ვინც ექტრადიციას ითხოვს, თანხმდებიან ამ და სხვა პირობებზე, რასაც საჭიროდ მიიჩნევენ, ამგვარი პირობითი ექსტრადიცია ან გადაცემა საკმარისი უნდა იყოს პირველ პუნქტში ჩამოყალიბებული ვალდებულების შესასრულებლად

მუხლი 11

1. მე –2 მუხლში ჩამოყალიბებული დანაშაულობანი მიიჩნევა ექსტრადიციის შესახებ შეთანხმებაში შესაგან დანაშაულებად, რომელიც წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლამდე დაიღო კონვენციის მონაწილე ქვეყნებს შორის.

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, რომ ექსტრადიციის შესახებ ყველა შეთანხმებაში, რომელიც მათ შორის გაფორმდება, ამგვარ დანაშაულებს მიაკუთვნებენ იმ დანაშაულებს, რომლებიც ექსტრადიციას ექვემდებარება.

2. როდესაც კონვენციის მონაწილე სახელმწიფო, რომელიც ექსტრადიციას ახდენს იმ პირობით, რომ არსებობს შესაბამისი შეთანხმება, იღებს მოთხოვნას ექსტრადიციის შესახებ კონვენციის მონაწილე მეორე სახელმწიფოსაგან, რომელთანაც არა აქვს გაფორმებული შეთანხმება ექსტრადიციის შესახებ, პირველ სახელმწიფოს საკუთარი არჩევანის თანახმად შეუძლია წინამდებარე კონვენცია იურიდიულ საფუძვლად მიიჩნიოს ექსტრადიციისათვის იმ დანაშაულობებთან მიმართებაში, რომლებიც ჩამოყალიბებულია მე –2 მუხლში.

ასეთ შემთხვევაში ექსტრადიცია უნდა დაექვემდებაროს პირობებს, რომლებიც გათვალისწინებულია პირველი სახელმწიფოს კანონმდებლობით.

3. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც ახდენენ ექტრადიციას ისე, რომ მათ შორის არ არსებობს შესაბამისი შეთანხმება, აღიარებენ, რომ დანაშაულობანი, ჩამოყალიბებული მე –2 მუხლში, ექვემდებარება ექსტრადიციას იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებით, რომელსაც მოსთხოვს ექსტრადიცია.

4. თუ საჭიროა, მე –2 მუხლში ჩამოყალიბებული დანაშაულობანი კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიერ უნდა განიხილებოდეს როგორც ჩადენილად არა იმ ადგილზე, სადაც დანაშაული მოხდა, არამედ იმ ქვეყნის ტერიტორიაზეც, რომელმაც მე –7 მუხლის 1-ლი და მე –2 პუნქტების შესაბამისად განსაზღვრა თავისი იურისდიქცია.

5. ექსტრადიციის შესახებ შეთანხმებების ყველა დებულება და კონვენციის მონაწილე ქვეყნების ყველა ღონისძიება, რომელიც დაკავშირებულია მე –2 მუხლში ჩამოყალიბებულ დანაშაულობებთან უნდა შეიცვალოს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ისინი შეუთავსებელია წინამდებარე კონვენციასთან.

მუხლი 12

1. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა დიდი დახმარება უნდა გაუწიონ ერთმანეთს სისხლისსამართლებრივი გამოძიებაში, ან ექსტრადიციის პროცედურებში მე-2 მუხლში ჩამოყალიბებულ დანაშაულობებთან მიმართებაში, რაც გულისხმობს მათ ხელთ არსებული და სასამართლო პროცესის ჩასაგარებლად საჭირო მტკიცებულებების მიწოდებას.

2. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა არ უნდა უარყონ კანონიერი ურთიერთდახმარების შეახებ მოთხოვნა საბანკო საიდუმლოებების დაცვის მოტივით.

3. მხარემ, რომელიც ითხოვს, არ უნდა გადასცეს სხვას ან გამოიყენოს ინფორმაცია ან მტკიცებულება, მოწოდებული მხარის მიერ, რომელსაც ეს მოთხოვნა წაუყენეს, გამოძიების, მართლმსაჯულების აღსრულების ან სასამართლო პროცესის მიზნებისათვის, გარდა იმ მიზნებისა, რომლებიც აღნიშნულია თხოვნაში თუ არ არსებობს ინფორმაციის მიმწოდებელი მხარის თანხმობა.

4. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ განიხილონ მექანიზმის შექმნის საკითხი, რომელიც საშუალებას მისცემს მათ გაცვალონ ინფორმაცია ან მტკიცებულებები, დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის განსაზღვრასთან მე-5 მუხლის თანახმად

5. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ დაკისრებული ვალდებულებები 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად და ყველა შეთანხმების თუ კანონიერი ურთიერთდახმარების შესახებ დაგეგმილი ღონისძიების შესაბამისად თუ ასეთი შეთანხმება ან ღონისძიება არ არსებობს, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები დაეხმარებიან ერთმანეთს თავიანთი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13

ექსტრადიციის ან ერთმანეთისათვის იურიდიული დახმარების გაწევის მიზნებისათვის მე-2 მუხლში ჩამოყალიბებული არც ერთი დანაშაული არ უნდა იყოს განხილული როგორც ფინანსური დანაშაული. შესაბამისად, კონვენციის მონაწილე სახელმწიფომ არ უნდა უარყოს მოთხოვნა ექსტრადიციის ან იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ იგი დაკავშირებულია ფინანსურ დანაშაულთან.

მუხლი 14

ექსტრადიციის ან ერთმანეთისათვის იურიდიული დახმარების გაწევის მიზნებისათვის მე-2 მუხლში ჩამოყალიბებული არც ერთი დანაშაული არ განიხილება როგორც პოლიტიკური ან ისეთი დანაშაული. რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკურ დანაშაულთან ან გამოწვეულია პოლიტიკური მოტივებით. შესაბამისად ექსტრადიციის ან იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ მოთხოვნა, რომელიც გამოწვეული ამგვარი დანაშაულით, არ უნდა იყოს უარყოფილი მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ის ეხება პოლიტიკურ დანაშაულს ან დანაშაულს, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკურ დანაშაულთან ან გამოწვეულია პოლიტიკური მოტივებით.

მუხლი 15

ამ კონვენციის არც ერთი დებულება არ უნდა იყოს ისე გაგებული, როგორც ექსტრადიციის ან ერთმანეთისათვის იურიდიული დახმარების გაწევის ვალდებულების დაკისრება თუკი სახელმწიფოს, რომლის მიმართაც მოთხოვნა გაკეთდა. საკმარისი საფუძველი აქვს იფიქროს, რომ მე -2 მუხლში ჩამოყალიბებულ დანაშაულებთან დაკავშირებით ექსტრადიციის ან იურიდიული დახმარების მოთხოვნა მიზნად ისახავს პიროვნების საისხლისამართლებრივ დევნას ან დასჯას მისი რასის, რელიგიის, ეროვნების, ეთნიკური წარმოშობის, პოლიტიკური შეხედულებების გამო, ან ეს მოთხოვა ზიანს მიაყენებს ამ პიროვნებას ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე მიზეზის გამო.

მუხლი 16

1. ის პირი, რომელსაც აპატიმრებენ ან იხდის სასჯელს კონვენციის მონაწილე ერთი სახელმწიფო გერიტორიაზე და მის გადაცემას კონვენციის მონაწილე მეორე სახელმწიფო ითხოვს იდენტიფიკაციის, ჩვენების მიცემის ან სხვაგვარი სამსახურის გასაწევად, რათა მოიპოვოს მგკიცებულება გამოძიების, ან დანაშაულის საისხლისამართლებრივი დევნის მიზნით, როგორც ეს ჩამოყალიბებულია მე -2 მუხლში, შეიძლება გადაცემული იყოს თუკი დაკმაყოფილებულია შედეგი პირობები:

(ა) აღნიშნულ პიროვნებას მიაწოდეს სათანადო ინფორმაცია და იგი თანახმაა
(ბ) ორივე სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები შეთანხმდნენ შესაბამის პირობებზე.

1. ამ მუხლის მიზნებისათვის:

(ა) სახელმწიფო, რომელსაც აღნიშნული პირი გადაეცა, უფლებამოსილი და ვალდებულია პატიმრობაში ამყოფოს გადაცემული პირი, თუ სახელმწიფო, რომელმაც იგი გადასცა სხვა რამეს არ ითხოვს;

(ბ) სახელმწიფო, რომელსაც მემოსხენებული პირი გადასცეს, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე დაუყოვნებლივ ასრულებს ვალდებულებას. რომ დააბრუნოს იგი იმ სახელმწიფოს საპატიმროში, საიდანაც მისი გადმოყვანა მოხდა, ან სხვაგვარად მოიქცეს, თუ ამ სახელმწიფოების კომპეტენტურ ორგანოებს შორის სხვაგვარი შეთანხმება არსებობს;

(გ) სახელმწიფო, რომელსაც გადაეცა აღნიშნული პირი, არ მოითხოვს სახელმწიფოს, რომელმაც იგი გადასცა, რომ მის დასაბრუნებლად ექსტრადიციის პროცედურას მიმართოს;

(დ) გადაცემულ პირს სასჯელის მოხდის დროში ჩაეთვლება ის დრო, რომელიც მან მეორე სახელმწიფოს საპატიმროში გაატარა;

3. თუ სახელმწიფო, რომელმაც წინამდებარე მუხლის თანახმად ეს პირი მეორე სახელმწიფოს უნდა გადასცეს თანახმაა, ეს პირი, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, არ დაექვემდებარება იმ სახელმწიფოს გერიტორიაზე, რომელსაც იგი გადასცეს,

სისხლისსამართლებრივ ღვენას ან დაპატიმრებას, ან პირადი თავისუფლების მიმართ სხვაგვარი აღმკვეთი ღონისძიების გამოყენებას იმ ქმედებებთან ან ბრალდებებთან დაკავშირებით, რომელიც ჩადენილი იყო მანამ, სანამ ეს პირი დაგოვებდა იმ სახელმწიფოს ტერიტორიას, რომელმაც იგი გადასცა.

მუხლი 17

ნებისმიერი პირი, რომელიც ამ კონვენციის თანახმად პატიმრობაშია აყვანილი, ან რომლის მიმართ სხვა ღონისძიებებია გატარებული ან სხვა მართლმსაჯულებრივი პროცედურაა განხორციელებული, გარანტირებული უნდა იყოს, რომ სამართლიანად მოექცევიან და ისარგებლებს ყველა უფლებითა და გარანტიით, რასაც უზრუნველყოფს იმ სახელმწიფოს კანონმდებლობა, რომლის ტერიტორიაზეც ის იმყოფება და მასზე გავრცელდება საერთაშორისო სამართლის შესაბამისი დებულებები, მათ შორის ადამიანთა უფლებების შესახებ საერთაშორისო კანონი.

მუხლი 18

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ითანამშრომლებენ მე-2 მუხლში ჩამოყალიბებული დანაშაულებათა თავიდან ასაცილებლად და მიიღებენ ისეთ ზომებს, რომელთა მიღებაც პრაქტიკულად არის შესაძლებელი, რაც, სხვათა შორის გულისხმობს

საჭიროების შემთხვევაში საშინაო კანონმდებლობის მიღებას მათ ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ დანაშაულების ჩადენის თავიდან ასაცილებლად და მისთვის წინააღმდეგობის გასაწევად, კერძოდ:

(ა) ზომების მიღებას თავიანთ ტერიტორიებზე იმ პირებისა და ორგანიზაციების არაკანონიერი საქმიანობის ასაკრძალად, რომლებიც შეგნებულად

წაახალისებენ, უბიძგებენ, ორგანიზებას უკეთებენ ან ჩაბმული არიან მე-2 მუხლში ჩამოყალიბებული დანაშაულის ჩადენაში;

(ბ) ზომის მიღებას, რაც ფინანსური დაწესებულებებისა და სხვა პროფესიების წარმომადგენლებისაგან, ვინც ფინანსურ გარიგებებთან არის დაკავშირებული, მოითხოვს ყველაზე ქმედითი ღონისძიებების გატარებას თავიანთი ჩვეულებრივი ან შემთხვევითი კლიენტების იდენტიფიკაციის მიზნით,

აგრეთვე, იმ კლიენტების საიდენტიფიკაციო, ვისი ინტერესებისთვისაც არის გახსნილი ანგარიშები და საგანგებო ყურადღება დაუთმონ უჩვეულო ან საეჭვო გარიგებებს და განაცხადონ გარიგებების შესახებ, რომლებიც დანაშაულებრივ საქმიანობას უკავშირდება ამ მიზნით კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები იმსჯელებენ:

(ი) ისეთი წესების შემოღებაზე, რომლებიც კრძალავს ანგარიშების გახსნას, თუკი მათი მფლობელები ან ბენეფიციარიები დაუდგენელი პირები არიან, ან მათი

იდენტიფიკაცია შეუძლებელია და ისეთი ღონისძიებების გატარებაზე, რომლებიც უზრუნველყოფს შემოხსენებული ინსტიტუტების მიერ მსგავსი გარიგებების მიღმა მდგომი პირების დადგენას და იდენტიფიკაციას;

(იი) იურიდიული პირების იდენტიფიკაციის თაობაზე, რაც ფინანსური ინსტიტუტებისაგან ისეთი ზომების მიღებას მოითხოვს, რომლის ძალითაც შესაძლებელია კლიენტის იურიდიული არსებობის და სტრუქტურის დადგენა

რეგისტრაციის შესახებ მტკიცებულების მოპოვებით სახელმწიფო რეესტრის, ან თავად კლიენტის ან ამ ორივეს საშუალებით.

ეს მოიცავს ინფორმაციას, დაკავშირებულს კლიენტის რეკვიზიტებთან:

დასახელება, იურიდიული ფორმა, მისამართი, ღირებულებები და დებულებები, რომლებიც სავალდებულოა ამ იურიდიული პირისათვის;

(იი) წესების შემოღების თაობაზე, რომლებიც ფინანსურ ინსტიტუტებს ვალდებულებას აკისრებს სასწრაფოდ შეაგყობინონ კომპეტენტურ ორგანოებს

ყველა რთული, უჩვეულო მასშტაბური ან უცნაური გარიგების შესახებ, რომელიც არ ისახავს მიზნად აშკარად ეკონომიკურ ან თვალსაჩინოდ კანონიერ

მიზნებს, ისე, რომ არ ჰქონდეთ სისხლის ან სამოქალაქო სამართლის პასუხისმგებლობის შიში, თუკი ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის შესახებ წესს კეთილი განზრახვით დაარღვევენ;

(ივ) ფინანსური ინსტიტუტებისათვის მოთხოვნის თაობაზე, რომ სულ მცირე ხუთი წელი შეინახონ საშინაო და საგარეო გარიგებების შესახებ დოკუმენტები.

2. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები კვლავაც ითანამშრომლებენ მე-2 მუხლში ჩამოყალიბებული დანაშაულების თავიდან ასაცილებლად და გაითვალისწინებენ აგრეთვე:

(ა) გარკვეული ზომების მიღებას ზედამხედველობის დაწესების მიზნით, მაგალითად ფულის გადარიცხვით დასაქმებული ყველა დაწესებულების ლიცენზირებას;

(ბ) სათანადო ზომების მიღებას, რათა მეთვალყურეობა გაეწიოს ნაღდი ფულისა და წარმომდგენზე გაცემული დოკუმენტების საზღვარზე მოძრაობას მკაცრი კონტროლის დაწესებასთან ერთად უზრუნველყოფენ ინფორმაციის სწორ გამოყენებას და კაპიტალის მოძრაობის თავისუფლებას.

3. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები კვლავაც ითანამშრომლებენ მე-2 მუხლში ჩამოყალიბებული დანაშაულებათა თავიდან ასაცილებლად, გაცვლიან ზუსტ ინფორმაციას თავიანთი კანონმდებლობის შესაბამისად და მოახდენენ ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებების კოორდინაციას, კერძოდ

(ა) დააარსებენ და აამუშავებენ კომუნიკაციის არხებს და სამსახურებს თავიანთი კომპეტენტურ დაწესებულებებს შორის, რათა ხელი შეუწყონ მე-2 მუხლში ჩამოყალიბებული დანაშაულების შესახებ ინფორმაციის უსაფრთხო და სწრაფ გაცვლას;

(ბ) ითანამშრომლებენ ერთმანეთთან მე-2 მუხლში ჩამოყალიბებულ დანაშაულებთან დაკავშირებული ცნობების შეკრების დროს, რომელიც ეხება:

(ი) იმ პირების ვინაობის, ადგილსამყოფელის და საქმიანობის დადგენას, ვიზუალურად, რომ ჩაბმული არიან მსგავს დანაშაულებრივ საქმიანობაში;

(იი) ფონდების მოძრაობას, რომელიც დაკავშირებულია ამგვარი დანაშაულებათა ჩაღწევისას.

4. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ გაცვალონ ინფორმაცია კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ინტერპოლი) საშუალებით.

კონვენციის მონაწილე სახელმწიფო, სადაც საგარეო დამნაშავეს წინააღმდეგ პროცესი მიმდინარეობს, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის ან სათანადო პროცედურების შესაბამისად შეაგყობინებს პროცესის საბოლოო შედეგებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, ხოლო ეს უკანასკნელი გადასცემს ინფორმაციას კონვენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოებს.

მუხლი 20

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები შეასრულებენ ამ კონვენციით მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს სუვერენული თანასწორობის, გერიგორიული მთლიანობის და სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 21

ამ კონვენციის არც ერთი დებულება არ ახდენს გავლენას სახელმწიფოებისა და პიროვნებების სხვა უფლებებსა და მოვალეობებზე, რომლებიც განსაზღვრავენ საერთაშორისო სამართლის, კერძოდ, გაერთიანებული ერების ქარტიით, საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონით, სხვა მსგავსი კონვენციებით.

მუხლი 22

ამ კონვენციის არც ერთი დებულება არ ანიჭებს უფლებას კონვენციის მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს, მეორე სახელმწიფოს გერიგორიაზე გაავრცელოს იურისდიქცია ან შეასრულოს ფუნქცია, რომელიც ამ მეორე სახელმწიფოს ხელისუფლების ექსკლუზიურ უფლებას წარმოადგენს, მინიჭებულს მისი ქვეყნის კანონმდებლობით.

მუხლი 23

1. დანართი შეიძლება შესწორდეს და დაემაგოს სათანადო შეთანხმებები რომლებიც:

(ა) გახსნილია მონაწილეობის მისაღებად ყველა სახელმწიფოსათვის;

(ბ) ძალაშია შესული;

(გ) რაგიფიცირებულია, მიღებულია, დამტკიცებულია, ან მიღებულია სულ მცირე ოცდარი სახელმწიფოს მიერ, რომელიც მონაწილეობს წინამდებარე კონვენციაში.

2. ამ კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ კონვენციის მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია შეიგანოს წინადადება შესწორების შესახებ.

ნებისმიერი წინადადება შესწორების შესახებ წერილობითი ფორმით უნდა ეცნობოს დეპოზიტარს. ეს უკანასკნელი კონვენციის მონაწილე ყველა სახელმწიფოს გაუგზავნის წინადადებებს, როლებიც შეესაბამება 1-ლი მუხლის მოთხოვნებს და შეაჯერებს მათ აზრს იმის თაობაზე, მიიღონ თუ არა შესწორება.

3. შემოთავაზებული შესწორება მიჩნეული იქნება მიღებულად, თუ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების სულ მცირე ერთი მესამედი არ წავა მისი მიღების

წინააღმდეგ წერილობითი ფორმით არაუგვიანეს 180 დღისა მის ცირკულაციამდე.

4. დანართის დამტკიცებული შესწორება ძალაში შედის, რაგვიფიკაციის ოცდამეორე სიგელის დეპონირებიდან, და ამ შესწორების მიღებიდან ან დამტკიცებიდან 30 დღის შემდეგ, კონვენციის მონაწილე ყველა სახელმწიფოსათვის, რომელმაც მოახდინა ამ სიგელის დეპონირება, თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელიც ახდენს შესწორების რაგვიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცების ოცდამეორე სიგელის დეპონირების შემდეგ შესწორება ძალაში შედის ოცდამეათე დღეს სახელმწიფოს მიერ რაგვიფიკაციის სიგელის დეპონირების, მიღების ან დამტკიცებიდან.

მუხლი 24

1. ნებისმიერი დავა კონვენციის მონაწილე ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის, რომელიც ამ კონვენციის ინტერპრეტაციას ან გამოყენებას ეხება მოლაპარაკების გზით დროულად ვერ მოგვარდა, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით უნდა გადასცეს საარბიტრაჟო სასამართლოს თუ განაცხადის შეგანიდან ექვსი თვის განმავლობაში მხარეები ვერ შეთანხმდებიან არბიტრაჟის გამართვის ორგანიზაციულ საკითხებზე, რომელიმე მათგანს შეუძლია გადაიგანოს დავა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში, აღნიშნული სასამართლოს წესდების თანახმად შედგენილი განაცხადით.

2. კონვენციის მონაწილე თითოეულ სახელმწიფოს ამ კონვენციის ხელმოწერის რაგვიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მასთან შეერთების დროს შეუძლია განაცხადოს, რომ არ მიაჩნია თავი ვალდებული პირველი პუნქტის თანახმად, არც სხვა სახელმწიფოები იქნებიან პირველი პუნქტის თანახმად ვალდებული იმ სახელმწიფოს მიმართ რომელიც ამგვარ პირობას წამოაყენებს.

3. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც დამატებით შესწორებას აკეთებს მე-2 მუხლის მიმართ, შეუძლია ნებისმიერ დროს მოხსნას ეს შესწორება, რის შესახებაც შეაგყობინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 25

1. ამ კონვენციაზე ხელის მოწერა შეუძლია ყველა სახელმწიფოს 2000 წლის 10 იანვრიდან 2001 წლის 31 დეკემბრამდე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნიუ-იორკის შტაბბინაში.
2. ეს კონვენცია უნდა იყოს რაგვიფიცირებული, მიღებული და დამტკიცებული სარაგვიფიკაციო სიგელები, მიღებისა და დამტკიცების დოკუმენტები დეპონირებული უნდა იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.
3. ამ კონვენციას შეუძლია შეუერთდეს ნებისმიერი სახელმწიფო და ამის შესაბამისი დოკუმენტები დეპონირებული უნდა იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

მუხლი 26

1. ეს კონვენცია ძალაში შედის ოცდამეორე სარაგვიფიკაციო სიგელის მიღების დამტკიცების ან კონვენციასთან შეერთების დოკუმენტების გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან დეპონირებიდან ოცდამეათე დღეს.

2. თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელიც ახდენს ამ კონვენციის რატიფიკაციას, მიღებას, დამტკიცებას, ან მასთან შეერთებას, კონვენცია ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელის, მიღების, დამტკიცების ან კონვენციასთან შეერთების დოკუმენტების დეპონირებიდან ოცდამეათე დღეს.

მუხლი 27

1. კონვენციის მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს ამ კონვენციის დენონსირება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

2. დენონსირება ძალაში შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

მუხლი 28

ამ კონვენციის დედანი, რომლის არაბული, ჩინური, ინგლისური, ფრანგული, რუსული და ესპანური ტექსტები თანაბრად ავთენტიკურია, დეპონირებულ უნდა იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან, რომელიც სერტიფიცირებულ ასლებს გაუგზავნის ყველა სახელმწიფოს.

შესაბამისი მთავრობის მიერ უფლებამოსილმა პირებმა ხელი მოაწერეს ამ კონვენციას რომელიც ნებადართულია ხელმოსაწერად 2000 წლის 10 იანვრამდე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნიუ-იორკის შტაბბინაში.

დამატება

1. 1970 წლის 16 დეკემბერს ჰააგაში დადებული კონვენცია თვითმფრინავების უკანონო გაგაცემის აღკვეთის მიზნით.

2. 1971 წლის 23 სექტემბრის მონრეალში დადებული კონვენცია სამოქალაქო ავიაციის წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებათა აღკვეთის მიზნით.

3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1979 წლის 17 დეკემბერს მიღებული კონვენცია საერთაშორისო კანონებით დაცული პირების მათ შორის დიპლომატების, წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავიდან აღიარებისა და აღკვეთის მიზნით.

4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1979 წლის 17 დეკემბერს მიღებული საერთაშორისო კონვენცია მძევლად აყვანის წინააღმდეგ.

5. 1980 წლის 3 მარტს ვენაში მიღებული კონვენცია ბირთვული ნივთიერებების ფიზიკური დაცვის შესახებ.

6. ოქმი საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის აეროპორტებში ძალადობის უკანონო აქტების აღსაკვეთად, რომელიც წარმოადგენს სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებათა შესახებ 1988 წლის 24 თებერვალს მონრეალში დადებული კონვენციის დამატებას.

7. 1988 წლის 10 მარტს რომში დადებული კონვენცია საზღვაო ნაოსნობის წინააღმდეგ მიმართულ უკანონო ქმედებათა აღკვეთის მიზნით.

8. 1988 წლის 10 მარტს რომში ხელმოწერილი ოქმი კონტინენტურ შელფებზე

განლაგებული ფიქსირებული პლატფორმის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის უკანონო აქტების აღკვეთის მიზნით.

9. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1997 წლის 15 დეკემბერს მიღებული საერთაშორისო კონვენცია ტერორისტული დაბომბვის აღკვეთის მიზნით.